შპს „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებოწლისათვის

Scanned by TapScanner

# სარჩევი


სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება ........ 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ........ 3

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ........ 4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ........ 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ........ 6

- ზოგადი ინფორმაცია ........ 7
- მომზადების საფუძველი ........ 7
- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ........ 8
- შემოსავლები ........ **Ошибка! Закладка не определена.**
- სხვა საოპერაციო ხარჯები ........ 9
- ძირითადი საშუალებები ........ **Ошибка! Закладка не определена.**
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ........ 10
- ფული და ფულის ექვივალენტები ........ 10
- მიღებული სესხები ........ 11
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ........ 11
- ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ........ **Ошибка! Закладка не определена.**
- პირობითი ვალდებულებები ........ 12
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ........ 12
- ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ........ 13




Scanned by TapScanner

შპს „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“

ს რ უ ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი ს ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|---|
| ამონაგები რეალიზაციიდან | 5 | 324,860 | 360,547 |
| | | - | |
| თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი | | (207,148) | (240,305) |
| კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი | | (6,338) | (8,900) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 4 | (22,098) | (17,328) |
| **საოპერაციო მოგება (ზარალი)** | | **89,276** | **94,014** |
| საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი | | (1,881) | (2,573) |
| არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი | | - | - |
| ქონების აფასება | | | 2,812,282 |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება | | - | - |
| **არა საოპერაციო მოგება (ზარალი)** | | **(1,881)** | **2,809,709** |
| **მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი** | | **87,395** | **2,903,723** |

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირიების მიერ:

დირექტორი: ამირან ტაკიძე

შპს „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“



Scanned by TapScanner

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 6 | 2,997,656 | 2,975,937 |
| | | 2,997,656 | 2,975,937 |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| მარაგები | | - | - |
| ზედმეტად გადახდილი გადასახადი | | 3,588 | 11,654 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 7 | 82,369 | 31,316 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 9 | 2,276 | 356 |
| | | 88,233 | 43,326 |
| სულ აქტივები | | 3,085,888 | 3,019,263 |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 100 | 100 |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი | | 2,975,717 | 83,194 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი | | 87,395 | 2,903,723 |
| | | 3,063,212 | 2,987,017 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | 8 | 20,101 | 17,901 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| საგადასახადო ვალდებულება | | - | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 10 | 2,575 | 14,345 |
| | | 2,575 | 14,345 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | 3,085,888 | 3,019,263 |



Scanned by TapScanner

## საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება (ზარალი) | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|
| 2019 წლის 1 იანვარი | - | 155,239 | 155,239 |
| წმინდა ზრდა/შემცირება | | - | - |
| მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი | - | (72,045) | (72,045) |
| მთლიანი სრული ზარალი | - | 2,903,723 | 2,903,723 |
| 2019 წლის 31 დეკემბერი | - | 2,986,917 | 2,986,917 |
| 2020 წლის 1 იანვარი | - | 2,986,917 | 2,986,917 |
| მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი | - | (11,200) | (11,200) |
| მთლიანი სრული ზარალი | - | 87,395 | 87,395 |
| 2020 წლის 31 დეკემბერი | - | 3,063,112 | 3,063,112 |

შპს „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“

### ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

| | 2020 | 2019 |
|---|---|---|



Scanned by TapScanner

| | | |
|---|---|---|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან: | | |
| მოსწავლეებიდან მიღებული ფულადი სახსრები | 273,806.50 | 329,231 |
| ფულადი ნაკადები სხვა მომსახურებიდან | - | - |
| მიღებული/გადახდილი პროცენტები | (1,880.81) | (2,573) |
| სხვა აქტივების ზრდა | | |
| საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით შემცირება (ზრდა) | | - |
| გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი | (207,147.92) | (240,305) |
| სხვა გადახდილი თანხები | (66,658.62) | (54,900) |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | (1,881) | 31,453 |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან: | | |
| საინვესტიციო საქმიანობა | - | |
| სესხის მიღება | 15,000 | 40,000 |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან: | 15,000 | 40,000 |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან: | | |
| საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე | (11,200) | (72,045) |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | (11,200) | (72,045) |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში | 356 | 948 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს | 2,276 | 356 |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა ან კლება | 1,919 | (592) |



Scanned by TapScanner

1. ზ ო გ ა დ ი ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“ დაარსდა 1996 წლის 5 ივლისს საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის, ქ. #3ა.

საზოგადოების 50 % წილის მფლობელია ამირან ტაკიძე 61001022920, 10 % იანი წილის მფლობელები - მარინა რამიშვილი 61002019540; ბესიკ ბერიძე 61002010378 და ემზარ ბალაძე 01026000242; 7,5 % იანი წილის მფლობელები - ჯემალ გოხიძე 61004007019 და დავით ბაბილოძე 61001026039 ხოლო, 5 % წილის მფლობელი კი ეთერ ბალაძე 61001001232. დირექტორი ამირან ტაკიძე 61001022920.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასწავლო მომსახურეობა

2. მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომ - მსს ფასს სტანდარტი) „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახე“ საქარტველოს კანონის შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარისგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარისგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.



Scanned by TapScanner

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწაროს პრინციპის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. როგორც მე-11 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსს არ ჰქონია გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარისგების მომზადების პროცესში.

3. მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა ა ღ რ ი ც ხ ვ ო შ ე ფ ა ს ე ბ ე ბ ი და გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ი

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურეობის ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.



Scanned by TapScanner

## 4. სხვა საოპერაციო ხარჯები

| | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|
| მედიკამენტების შეძენა | 205.00 | 300.00 |
| კატრიჯის შევსების ხარჯი | 541.50 | 814.00 |
| ვებ - გვერდის მომსახურეობის ხარჯი | 110.00 | 110.00 |
| იურიდიული მომსახურეობა | 2,000.00 | - |
| დიპლომების დამზადების ხარჯი | 1,092.00 | 567.00 |
| კოლეჯების ასოციაციის მოსაკრებელი | 820.00 | 600.00 |
| აკრედიტაციის ხარჯი | - | 12,544.00 |
| საქველმოქმედო ხარჯი | 1,425.00 | 1,200.00 |
| მივლინების ხარჯი | 128.00 | 226.00 |
| ბანკის საკომისიო | 601.24 | 967.00 |
| ფიზ/პ მიერ გაწეული მომსახურეობის ხარჯი | 14,455.20 | |
| დაცვის მომსახურეობის ხარჯი | 720.00 | - |
| | 22,097.94 | 17,328.00 |



Scanned by TapScanner

## 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ფინანსური ვალდებულებები | **31 დეკემბერი 2020** | **31 დეკემბერი 2019** |
|---|---|---|
| სავაჭრომოთხოვნები | 82,369.00 | 31,316.00 |
| სხვა მოთხოვნები | - | - |
| | **82,369.00** | **31,316.00** |
| არაფინანსური ვალდებულებები | | |
| გადახდილი ავანსები | - | - |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **82,369.00** | **31,316.00** |

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

| | **31 დეკემბერი 2020** | **31 დეკემბერი 2019** |
|---|---|---|
| ფული სალაროში | - | - |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე (ლარში) | 2,276.00 | 356.46 |
| | **2,276.00** | **356.46** |



Scanned by TapScanner

## 7. მიღებული სესხები

| | შპს როიალბათუმი |
|---|---|
| **2019 წლის 1 იანვრისათვის** | - |
| სესხის მიღება | 40,000.00 |
| საპროცენტო ხარჯი | 2,573.00 |
| სესხის გასვლა | (24,672.00) |
| კურსთაშორის სხვაობა | - |
| **2019 წლის 31 დეკემბრისათვის** | **17,901.00** |
| სესხის მიღება | 15,000.00 |
| საპროცენტო ხარჯი | 1,880.81 |
| სესხის გასვლა | (14,680.81) |
| კურსთაშორის სხვაობა | - |
| **2020 წლის 31 დეკემბრისათვის** | 20,101.00 |

## 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| ფინანსური ვალდებულებები | **31 დეკემბერი 2020** | **31 დეკემბერი 2019** |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 725.00 | 3,845.00 |
| სახელფასო ვალდებულებები | 1,850.00 | 10,500.00 |
| სხვა ვალდებულება | | |
| | **2,575.00** | **14,345.00** |
| არაფინანსური ვალდებულებები | | |
| მიღებული ავანსები | - | - |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **2,575.00** | **14,345.00** |

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“

ფინანსური ანგარისგების განმარტებითი შენიშვნები



Scanned by TapScanner

9. ამონაგები

| | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|
| შემოსავლები მოსწავლეების სწავლის გადასახადისაგან | 324,859.50 | 360,547.00 |
| საიჯარო შემოსავალი | - | - |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | - | - |
| | 324,859.50 | 360,547.00 |

10. პ ი რ ო ბ ი თ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებიტი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგტადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდში.

11. ს ა ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ო პ ე რ ი ო დ ი ს შ ე მ დ გ ო მ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. 2021 წელს ეკონომიკამ დაიწყო აღდგენა და 2022 წლის ბოლოსათვის ვარაუდობენ რომ სრულიად აღდგება. შეზღუდვები მოხსნილია და დამატებით შესხუდვებსაც არ პროგნოზირებენ.



Scanned by TapScanner

## 12. ძ ი რ ი თა დ ი ს ა ა ღ რ ი ც ხ ვ ო პ ო ლ ი ტ ი კ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

ფინანსური ანგარისგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირველადი ღირებულების მეთოდებით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის | 2.8677 | 3.2095 |
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის | 3.2766 | 4.0233 |



Scanned by TapScanner

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტილი ტრანზაქციების ხარჯით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.



Scanned by TapScanner

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარდებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

| | სასარგებლო მომსაურეობის ვადა (წელი) |
|---|---|
| მანქანა-დანადგარები | 5 |
| ოფისის აღჭურვილობა | 5 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 |



Scanned by TapScanner

სასარგებლო მომსახურეობის ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშულებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულების და მიღებული თანის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.



Scanned by TapScanner

## დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისაგან. რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წელს პირველი ინავრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.



Scanned by TapScanner

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარაის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელსიც ისინი გაიწია.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომოპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური რირებულებით.



Scanned by TapScanner

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მოამავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარისგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებით მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



Scanned by TapScanner